ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1938 წ. დეკემბრის 28 № 9 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

46. 1938 წლის მოსავლის დაფნის ფოთლის დამზადების გეგმის შესახებ.

47. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს შესახებ.

48. 1939 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

49. ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავე კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

50. ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისაგან იპოდრომების განთავისუფლების შესახებ.

51. საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის შრომის წიგნაკების დაგზავნის წესის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

45.02

46. 1938 წლის მოსავლის დაფნის ფოთლის დამზადების გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1938 წლის მოსავლის დაფნის ფოთლის დამზადების გეგმა 800 ტონის რაოდენობით, ამასთან დამზადების გეგმა განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკებისა, რაიონების და დამზადების ვადების მიხედვით, თანაბრად დანართისა.

2. დაფნის ფოთლის დამზადება დაეკისროს მარტოოდენ სამომხმარებლო ოპერაციის სისტემას „საქხილბოსტანი".

3. შენარჩუნებულ იქნას 1939 წლისათვის 1938 წელს მომქმედი დასამზადებელი ფასები.

4. დაფნის ნარგავის მტაცებლური ექსპლოატაციის თავიდან აცილების მიზნით, აიკრძალოს დაფნის ფოთლის დეცენტრალიზებული დამზადება.

5. დაევალოს „საქხილბოსტანს" უზრუნველჰყოს დაფნის ფოთლის 1938, 1939 წლების დამზადებიდან 8 პროცენტის დროულად გადარიცხვა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის დაფნის კულტურის აგრომომსახურეობისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1938 წ. დეკემბრის 3. № 2330.
თბილისი.

დანართი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1938 წლის მოსავლის დაფნის ფოთლის დამზადებისა.

(ტონობით)

რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	დამზადების წლიური გეგმა	აქედან		
		1938 წლ. მე-IV კვარტალში	1939 წლ. I კვარტალში	1939 წლ. მე-II კვარტალში
1. აფხაზეთის ასსრ	50,0	5,0	40,0	5,0
2. აჭარის ასსრ	5,0	0,5	4,0	0,5
3. ზუგდიდის რაიონი	175,0	30,0	113,0	32,0
4. აბაშის „	12.0	2,0	7,0	3,0
5. გეგეჭკორის „	12,0	1,0	10,0	1,0
6 ჩხოროწყუს „	10,0	1,0	8,0	1,0
7. წალენჯიხის „	5,0	1,0	3,0	1,0
8. ფოთის „	6,0	0,5	5,0	0,5
9. ქუთაისის „	40,0	5,0	28.0	7,0
10. ჩხარის „	2,0	0,2	1,6	0,2
11. ზესტაფონის „	2,0	0,5	1,0	0,5
12. ბაღდათის „	3,0	0,5	2,0	0,5
13. წულუკიძის „	7,0	1,0	5,0	1,0
14. სამტრედიის „	45,0	5,0	34,0	6,0
15. ვანის „	80,0	10,0	60,0	10,0
16. ლანჩხუთის „	30,0	2,0	25.0	3,0
17. მახარაძის „	8,0	0,5	7,0	0,5
18. ჩოხატაურის „	14,0	1,0	12,0	1,0
19. ტყიბულის „	4,0	0,3	3,4	0,3
20. ხობის „	244,0	40,0	162,0	42,0
21. ცხაკაიას „	46,0	6,0	34,0	6,0
სულ საქ. სსრ-ში	800,0	113,0	565.0	122,0

572.11
032.24

47. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 4 მაისის № 447 დადგენილებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1938 წ. დეკემბრის 3. № 2339.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველო მის შემადგენლობაში შემავალი სამეურნეოანგარიშიანი საავტოტრანსპორტო საწარმოებით, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე სახელმწიფო ტრესტის უფლებებით და წარმოადგენს იურიდიულ პირს.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველო ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ ფარგლებში ყველა ოპერაციას, რაც გათვალისწინებულია მის შემადგენლობაში შემავალი საავტოტრანსპორტო საწარმოების წესდებებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი საავტოტრანსპორტო საწარმოების წესდებებს ამტკიცებს სამმართველოს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტო-ტრანსპორტო მეურნეობის სამმართველო:

ა) აწყობს მგზავრთა გადაყვანას ავტომობილებით იმ მიზნით, რომ ავტ-ტრანსპორტმა სანიმუშო მომსახურეობა გაუწიოს უწინარეს ყოვლისა საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებსა და გზებს საქართველოს სსრ-ში;

ბ) გეგმავს და აწესრიგებს მის სისტემაში შემავალ საავტოტრანსპორტო საწარმოების მუშაობას და აწყობს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საერთო სარგებლობის ახალ სამგზავრო საავტოტრანსპორტო საწარმოებს;

გ) აწყობს სატვირთო ავტოკოლონებს მთავრობის მიერ ავტოგადაზიდვის მხრივ მიცემულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესასრულებლად.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტ-ტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს შემადგენლობაში შედიან შემდეგი საწარმოები, რომლებიც მოქმედობენ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე:

ა) საავტოტრანსპორტო კონტორა ქ. თბილისში
ბ) „ „ „ გორში
გ) „ „ „ ბორჯომში
დ) „ „ „ წნორის წყალში
ე) „ „ „ ქუთაისში
ვ) „ „ „ მახარაძეში
ზ) „ „ „ აჭარის ასსრ (ქ. ბათუმი)
თ) „ „ „ აფხაზეთის ასსრ (ქ. სოხუმი)
ი) „ „ „ ზუგდიდში
კ) ტექნიკური მომარაგების კონ-ტორა . . . . . თბილისში.
ლ) ავტოსახელოსნოები . . . . თბილისში.

შენიშვნა. ახალი საწარმოები გაიხსნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საავტ-ტრანსპორტო მეურნეობას ეკისრება:

ა) რაიონების ეკონომიკის შესწავლა იმ მიზნით, რათა გამორკვეულ იქნას საქართველოს სსრ ფარგლებში ურელსო გზებზე მგზავრთა ნაკადის ნამდვილი ხასიათი;

ბ) ტექნიკური და საექსპლოატაციო ნორმების და მასალების ხარჯვის ნორ-მების, აგრეთვე ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული სხვა ნორმების შემუშავება სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი საწარმოებ-სათვის და მათი წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომი-სართა საბჭოში;

გ) მის შემადგენლობაში შემავალი ყველა საწარმოს საერთო ხელმძღვანე-ლობა და ამ უკანასკნელთათვის ტექნიკური დახმარების გაწევა;

დ) სამმართველოს საწარმოების მომარაგება საავტოტრანსპორტო საშუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებებით, დაზგებით, მოწყობილობით, სათადარიგო ნაწილებით, მასალებით და სხვ;

ე) სამმართველოს შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა საქმიანობის დაგეგმვა; მათი თვიური, კვარტალური და წლიური სატრანსპორტო-საფინანსო გეგმების განხილვა და დამტკიცება; თვითღირებულების განსაზღვრა; ამ გეგმების შესრულებისადმი სისტემატური კონტროლისა და მეთვალყურეობის გაწევა და ნაკრებიგეგმების დასამტკიცებლად წარდგენა სათანადო მგეგმავი ორგანოებისათვის;

ვ) სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი საწარმოების დაფინანსება კაპიტალური ხარჯების მიხედვით დამტკიცებული საფინანსო გეგმების საფუძველზე; საბრუნავი სახსრების დაწესება და განაწილება;

ზ) საბრუნავი სახსრების, დანაგროვთა, ფონდებისა და საამორტიზაციო ანარიცხთა გარდანაწილება სამმართველოს შემადგენლობაში შემავალ საწარმოებს შორის მომქმედი კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებათა შესაბამისად;

თ) საერთოდ დადგენილი წესისამებრ მგზავრთა გადაყვანის ტარიფების, განაკვეთების, გამოსაღების, წესებისა და ინსტრუქციების შემუშავება და დამტკიცება და მათი დასამტკიცებლად წარდგენა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის;

ი) სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისათვის საჭირო კადრების (მძღოლნი, ავტორემონტიორები და სხვ.) მომზადებისა და გადამზადების ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და დაგეგმვა;

კ) სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისათვის ადმინისტრატიულ-სამმართველო შტატების, ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების, მუშა-ხელის კონტიგენტის, ხელფასის ფონდების დაწესება, მათი შესრულებისათვის კონტროლისა და მეთვალყურეობის გაწევა;

ლ) ახალი კაპიტალური მშენებლობის ობიექტებისა და კაპიტალური რემონტის დაწესება სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისათვის;

მ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი საწარმოების გეგმიანი და არაგეგმიანი საფინანსო რევიზიებისა და გამოკვლევათა მოხდენა;

ნ) სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი საწარმოების რეკონსტრუქციისა და დამატებითი ნაგებობათა პროექტების შემუშავება;

ო) ნაკრები საბუხჰალტერო ანგარიშებისა და ბალანსების, ოპერატიული მუშაობის ანგარიშების წარდგენა სათანადო ორგანოებისათვის, დაწესებული ფორმით და დაწესებულ ვადებში.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს შემოკლებულად ეწოდება „საავტო-ტრანსი“.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტো-ტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს აქვს მრგვალი ბეჭედი, თავისი სახელწოდების გამოსახულებით.

II. სამმართველოს სახსრები.

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტো-ტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს აქვს საკუთარი საბრუნავი სახსარი, რომლის რაოდენობაც განისაზღვრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

დანარჩენი ფონდები შეიქმნება მოქმედი კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებათა შესაბამისად.

III. სამმართველოს ხელმძღვანელობა.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტো-ტრანსპორტო მეურნეობის სამმართველო იმყოფება თბილისში.

10. სამმართველოს სათავეში დგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო. სამმართველოს უფროსი სავსებით პასუხს აგებს მთელი მეურნეობის მდგომარეობისათვის და უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

11. სამმართველოს უფროსის მოადგილეს ნიშნავს სამმართველოს უფროსი და ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავ-ტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ერთმმართველობის საფუძველზე ანხორციელებს ამ დებულებიდან გამომდინარე ყველა ფუნქციას.

13. საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს უფროსს კერძოდ ენიჭება უფლება:

ა) დანიშნოს და დაითხოვოს საწარმოების დირექტორები და მთავარი ბუხ-ჰალტერები და მათი მოადგილეები;

ბ) მიიღოს და დაითხოვოს საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს მუშები და მოსამსახურეები;

გ) დაამტკიცოს სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი სამეურნეო ან-გარიშიანი საწარმოთა წლიური ანგარიშები და ბალანსები;

დ) დასდოს ხელშეკრულებანი და აქტები, რომლებიც საჭიროა მმართვე-ლობის ამოცანების განსახორციელებლად; გასცეს რწმუნებულებანი და უფლე-ბამოსილებანი რწმუნებულების გადაცემის წესით;

ე) აწარმოოს საკრედიტო ოპერაციები მათ შორის: ისარგებლოს კრედი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტით, გახსნას და დახუროს საანგარიშსწორებო, მიმდინარე და სხვა ანგარიშები და განაგოს ისინი, ხელი მოაწეროს ჩეკებს, საგადამხდელო დავალებებს, მოახდინოს ანგარიშ-ფაქტურების აქცეპტი და მიიღოს ფული და ფასეულობანი;

ვ) აღძრას სარჩელი და გამოვიდეს მოპასუხედ წარდგენილი სარჩელების გამო არბიტრაჟსა და სასამართლო დაწესებულებებში, აგრეთვე გამოვიდეს საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლად მთავრობის, ადმინისტრატიულ და საზოგადოებრივ ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, ამასთან ეს მოქმედება შეიძლება შესრულებული იქნას უფროსის მიერ, როგორც პირადად, ისე სხვა პირთა მეშვეობითაც, რომლებსაც საამისო რწმუნება ექნებათ სპეციალური მინდობილობებით.

14. საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს უფროსი მიმართავს სამმართველოს საქმეთა გამო ყველა ორგანოს და პირს მისთვის მინიჭებულ უფლებათა და ფუნქციათა ფარგლებში.

15. საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს უფროსის ყველა განკარგულება და ბრძანება სავალდებულოა როგორც სამმართველოს, ისე მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების ყველა მომუშავისათვის.

16. სამმართველოდან გასაგზავნ ქაღალდების ხელმოწერის წესს დაადგენს სამმართველოს უფროსი. ყოველგვარ ხელშეკრულებას, გარიგებას, ვალდებულებას ჩეკს და რწმუნებულებას ხელს აწერენ სამმართველოს უფროსი ან საამისოდ სპეციალური რწმუნებულებით უფლებამოსილი პირნი. ანგარიშებს და ბალანსებს ხელს აწერენ სამმართველოს უფროსი და მთავარი ბუხჰალტერი.

IV. სამმართველოს სტრუქტურა.

17. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოში მყარდება აპარატის შემდეგი სტრუქტურა:

ა) საექსპლოატაციო განყოფილება,
ბ) ტექნიკური განყოფილება,
გ) საფინანსო-საანგარიშო განყოფილება,
დ) საგეგმო-ეკონომიური განყოფილება,
ე) საადმინისტრაციო-სამეურნეო განყოფილება,
ვ) საინსპექტორო ჯგუფი,
ზ) სპეცგანყოფილება.

18. შტატები და ხარჯთაღრიცხვა მტკიცდება დადგენილი წესისამებრ.

19. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს განყოფილებანი და ჯგუფები მოქმედობენ მათ შესახები დებულებების თანახმად, რომლებსაც ამტკიცებს სამმართველოს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

48. 1939 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 29 ნოემბრის დადგენილებისა „1939 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 53, მუხ. 302), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკურ კოოპერატიულ ცენტრებსა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებს, აგრეთვე საქალაქო საბჭოებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ წლიურ ხელშეკრულებათა დადება მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ 1939 წლისთავის იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 29 ნოემბრის დადგენილებით „1939 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 53, მუხ. 302).

2. 1939 წლისათვის წლიურ ხელშეკრულებათა დადება უნდა დამთავრდეს შემდეგ ვადებში:

ა) ხელშეკრულებებისა ფართო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ—არაუგვიანეს 1938 წლის 31 დეკემბრისა;

ბ) ხელშეკრულებებისა საწარმოო-ტექნიკური მომარაგებისა და მოწყობილობის საგნების მიწოდების შესახებ—არაუგვიანეს 1939 წლის 1 თებერვლისა;

გ) ხელშეკრულებებისა წყლის გზებით ტვირთის გეგმიანი გადაზიდვისა და ტვირთების გადატანის საკვანძო შეთანხმებათა შესახებ—არაუგვიანეს 1939 წლის 1 მარტისა;

დ) საიჯარო ხელშეკრულებებისა კაპიტალური მშენებლობის შესახებ: გარდამავალი მშენებლობისა—არაუგვიანეს 1939 წლის 1 თებერვლისა. ახლად დაწყებული მშენებლობისა—არაუგვიანეს 1939 წლის 1 მარტისა.

3. იმის გამო, რომ ფართო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებათა დადების ვადა 1938 წლის 31 დეკემბერს გადის, დაევალოს ყველა სამეურნეო ორგანოს დაამთავრონ ამ ხელშეკრულებათა დადება აღნიშნულ ვადაში, ამასთან უკეთუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არ იქნება დამტკიცებული სათანადო საქონლის გამოყენების გეგმები, აღნიშნონ წლიურ ხელშეკრულებებში 1939 წლის პირველი კვარტალისათვის მიწოდების რაოდენობა, 1938 წლის მე-IV კვარტალის ფონდების საფუძველზე, იმ ანგარიშით, რომ გეგმის დამტკიცების შემდეგ ოცი დღის ვადაში დაწესებულ იქნას ხელშეკრულებაში მიწოდების წლიური რაოდენობა და დაზუსტდეს პირველი კვარტალისათვის მიწოდების რაოდენობა.

4. პასუხისმგებლობა ხელშეკრულებათა თავის დროზე და სწორად დადებისათვის დაეკისროს:

ა) აფხაზეთის ასსრ-სა, აჭარის ასსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს;

ბ) ქალაქებსა და რაიონებში—საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს;

გ) რესპუბლიკური ქვემდებარეობის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით—სათანადო სახალხო კომისრებს, რესპუბლიკური კოოპერატიული ცენტრებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, რესპუბლიკურ კოოპერატიულ ცენტრებსა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებს, 1938 წლის 15 დეკემბრიდან დაწყებული, წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 15 დღიური ანგარიშგება 1939 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების მიმდინარეობის შესახებ, იმ ფორმის მიხედვით, რომელსაც დააწესებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ არბიტრს:

ა) ჩაატაროს სამეურნეო მუშაკთა თათბირი 1939 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების მიმდინარეობის საკითხებზე;

ბ) უზრუნველჰყოს წინასახელშეკრულებო დავათა დროულად განხილვა, კერძოდ, გამოიყენოს თავისი უფლება იმ მხრივ, რომ უარი უთხრას წლიური ხელშეკრულებების გამო ისეთ წინასახელშეკრულებო დავათა განხილვაზე, რომლებიც ხელშეკრულებათა დადების დაწესებული ვადების გასვლის შემდეგ იქნება აღძრული, და ზემდგომ ორგანოებს აცნობობს ვადის დარღვევის შემთხვევები დამნაშავე თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მისაცემად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1938 წ. დეკემბრის 14. № 2405.
თბილისი.

331.4
352.32

---

49. ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავე კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1938 წლის 15 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად „ხე-ტყის დამზადე-

ბაზე მომუშავე კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუ-ფლების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 50, მუხ. 284), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლებიც დაკონტრაქტე-ბული არიან ანდა თვითონ მიემაგრნენ ვადით არანაკლებ ერთი წლისა ხე-ტყის დამზადების სამუშაოებს, რასაც ხე-ტყის სახელმწიფო დამამზადებლები ანხო-რციელებენ, განთავისუფლებული არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა-გან სათანადო ვადის განმავლობაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგი.

1938 წ. დეკემბრის 17. № 2423.
თბილისი.

741
355.1

---

50 ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისაგან იპოდრომების გან-თავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნან იპოდრომები შენობათა გადასახადისა და მიწის-რენტის გადახდისაგან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგი.

1938 წ. დეკემბრის 17. № 2432.
თბილისი.

842

51. საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის შრომის წიგნაკების დაგზავნის-წესის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური-საბჭოს 1938 წლის 25 დეკემბრის № 881 დადგენილების შესაბამისად „შრო-მის წიგნაკების დაგზავნის წესის შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომი-სართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილ იქნას საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის შრომის წიგნაკების დაგზავნის შემდეგი წესი:

1. საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი (მსუბ. მრეწვ. სახ. კომისარიატი, კვებ. მრეწვ. სახ. კომისარიატი, ჯანსახკომი, სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი, იუსტიციის სახ. კომისარიატი, ვაჭრობის სახ. კომისარიატი, მიწსახკომი, ფინსახკომი, დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო, კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო, ცეკავშირი, საერწყო საბჭო, და ა. შ.) შრომის წიგნაკებს მათდამი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულებასა და საწარმოს უგზავნიან 1938 წლის 28 დეკემბრიდან 1939 წლის 5 იანვარამდე უშუალოდ სახალხო კომისარიატიდან (ცენტრალური დაწესებულებებიდან) ან სათანადო მთავარი სამმართველოების მეშვეობით.

2. რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი (განსახკომი, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი და ა. შ. (შრომის წიგნაკებს ღებულობენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსაგან და უშუალოდ უგზავნიან ამ წიგნაკებს მათდამი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულებასა და საწარმოს 1938 წლის 28 დეკემბრიდან 1939 წლის 5 იანვარამდე.

3. აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ყველა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი და საქალაქო საბჭო შრომის წიგნაკებს ღებულობენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსაგან და უგზავნიან უშუალოდ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს (რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის აპარატი, სასოფლო საბჭოები, სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილებანი, რაიონული საგეგმო კომისიები, რესპუბლიკური, საოლქო და სარაიონო გაზეთების რედაქციები, სტამბები, საგზაო განყოფილებანი, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატები, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებანი და ა. შ.).

4. დაევალოს სახალხო კომისრებს და ყველა ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელებს დააწესონ სასტიკი კონტროლი და მიიღონ ყოველგვარი საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის წიგნაკების გულდასმით აღრიცხვას და შენახვას საწარმოებსა და დაწესებულებებში.

5. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ყველა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეებს მეთვალყურეობა გაუწიონ შრომის წიგნაკების დაგზავნის მიმდინარეობას და დააწესონ სასტიკი კონტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, რაც უზრუნველყოფს შრომის წიგნაკების ზუსტად აღრიცხვას და შენახვას საწარმოებსა და დაწესებულებებში.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. სტურუას პირადად ადევნოს თვალყური და კონტროლი გაუწიოს შრომის წიგნაკების დაგზავნას, მათი გაცემის სისწორეს, აგრეთვე შრომის წიგნაკების შენახვას სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში.

7. დაევალოს ყველა საწარმოს დირექტორებს და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს არაუგვიანეს 1939 წლის 20 იანვრისა წარუდგინონ სათანადო სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს ანგარიში გაცემული შრომის წიგნაკების რაოდენობის შესახებ.

8. დაევალოს აჭარის და აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ყველა საქალაქო საბჭოს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს არაუგვიანეს 1939 წლის 20 იანვრისა წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში გაცემული შრომის წიგნაკების რაოდენობის შესახებ.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. სტურუას არაუგვიანეს 1939 წლის 23 იანვრისა შეადგინოს ანგარიში გაცემული შრომის წიგნაკების რაოდენობის შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსათვის წარსადგენად.

10. დაწესდეს, რომ საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის შრომის წიგნაკების დაგზავნასთან დაკავშირებული მთელი ხარჯები გაწეულ უნდა იქნას სათანადო სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულების ანგარიშზე.

11. დაევალოს სახალხო კომისრებს, ყველა ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ყველა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის და საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეებს, აგრეთვე ყველა საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ შრომის წიგნაკების გაცემისათვის საფასურის გადახდევინებისა და შრომის წიგნაკების დაკარგვისათვის ჯარიმების სახით შემოსული თანხების შეტანა იმ წესის შესაბამისად, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

12. შრომის წიგნაკების დაბეჭდვა თავმოყრილ იქნას სახელგამის პოლიგრაფკომბინატში, ამასთან პერსონალური პასუხისმგებლობა შრომის წიგნაკების თავის დროზე დაბეჭდვისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებული ნიმუშის შესაბამისად დაეკისროს პოლიგრაფკომბინატის ფინანსურ ნიკურ დირექტორს ამხ. მალაიანს.

შრომის წიგნაკები დაიბეჭდოს რუსულ და ქართულ ენაზე 600.000 ცალის რაოდენობით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1938 წ. დეკემბრის 27. № 2512.
თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ საბჭომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68.

მთავლ. № 460 შეკვ. № 205 ტირაჟი 1500